[illegible] ...2 შემთხვევით ისარგებლეს მეტიმნელ [illegible] ...ალგაზდებმა და რთველში მხიარულ- [illegible] ...გასართობები მოაწყვეს; ჩასხდნენ პა- [illegible] ...ბომალდში, მსახურნი გაიყოლიეს მე- [illegible] ...ნაცვლად და მიტილენის მიდამო- [illegible] ...ბიუახლოვდნენ, სადაც ადრევე მოეწ- [illegible] ...სადღესასწაულოდ საბანაო ადგილე- [illegible] ...ალები, ჭალები. ყველა სიკეთე ერ- [illegible] ...ორეს მოსდევდა და თუ ერთი [illegible] ...ს წყალობას წარმოადგენდა, მეორე [illegible] ...ამიანის შრომის ნაყოფი იყო. სიამე- [illegible] ...ასაკმაყოფილებლად მშვენიერი საფა- [illegible] ...მოეწყოთ. და ასე მოცურავდნენ ნა- [illegible] ...აკენ. ხან ლერწამის ბოლოზე გამომ- [illegible] ...ცხენის ძუის ანკენსით თევზს იჭერ- [illegible] ...და, ეს რა მობეზრდებოდათ, ყუ- [illegible] ...მკრეფავთაგან შეშინებულ კურდ- [illegible] ...ბადეს უგებდნენ მინდორში. ხან [illegible] ...ვს, კაკაბსა და სხვა ფრთოსანს დას- [illegible] ...ენენ კაკანათით. ამგვარად ერთობო- [illegible] ..., იქვე უხვად შოულობდენენ საზრ- [illegible] ...ც და, თუ რისმე ნაკლებულებას [illegible] ...ენ, სოფლელებიდან ყიდულო- [illegible] ...ულუხვადაც უხდიდნენ. ყვე- [illegible] ...ამყოფი ჰქონდათ, აკლდათ [illegible] ...ვინო, პური და ლამის გასა- [illegible] ...ნ ჯანმრთელობისთვის საში- [illegible] ...ოლვაზე ძილი. ხომალდს ნა- [illegible] ...ბამდნენ ხოლმე, რომ ზღვას [illegible] ...ცნა.

ქ. შუმლაძე.

(შემდეგი იქნება).

[illegible] ...ლობიან მცხოვრებთათვის საქონლის მოტანას [illegible] ...ეტათ მცირე ადგილი ეთმობა

„ამ სახით საერთო სასოფლო ეკონომიური კრიზისი, ხორცის აბსოლიუტური შეტირება, სამხედრო მდგომარეობის გამო მიმოსვლის შეტის შეტათ გაძვირება ამიერ კავკასიის მცხოვრებთ თავს დაატეხათ. ამიტომ მცხოვრებთა დიდმა უმრავლესობამ ხორის სა-

ახალი ამბავი.

✦ სიმინდის მიდება. როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, საზოგადოება „რეგულიატორის“ გამგეობამ ბესარაბიიდან გამოიწერა 200000 ფუთი სიმინდი და 150000 ფუთი მარილი (ევპატორიიდან). გამგეობის სახელზე უკვე მოვიდა ერთი გემი, რომელმაც მოიტანა 100,000 ფუთი სიმინდი. სიმინდი საუკეთესო ხარისხისაა სხვილ მარცვლიანი, რანაირიც დღემდე ბესარაბიიდან ჩვენს ქვეყანაში არ გამოგზავნილა და დაუჯდებათ კოოპერატივებს ბათუმში ვაგონში ჩატვირთვით არა უძვირეს მანეთი და სამი შაურისა. მსურველებმა საჭირო ფული დაუყოვნებლივ უნდა შემოიტანონ საზოგადოების გამგეობაში (თფილისის ქუჩა ვლადიმერ წერეთლის სახლი) ან გადაგზავნონ ბათუმში ფოსტით და არა ტელეგრაფით (ჭიანურდება მიღება) შემდეგის ადრესით Батумъ гастиница „Оріенталь Ясону Бахваевичу Габилая.

✦ ქ. ქუთაისში შესდგა მასწავლებელთა წრე, რომელიც ემზადება პედაგოგიურ საგნებში უმაღლეს პირველდაწყებითი სასწავლებლის მასწავლებლობის ხარისხზე იკითხეთ „სამშობლოს“ რედაქციაში.

✦ მარილზე ხელის მოწერა. „რეგულიატორის“ გამგეობა ამ დღეებში მიიღებს ერთ გემ მარილს. სოფლის კოოპერატივებმა დაუყოვნებლივ უნდა გამოგზანონ საჭირო ფული. იმ კოოპერატივების სახელზე, რომლნიც ფულს დროზე წარმოადგენენ, ვაგონები დაიტვირთება პირდაპირ გემიდან და ამიტომაც დაჯდება ფუთზე ორი შაურით ნაკლებ, ვინემ საწყობიდან. ვაგონში ჩატვირთულ მარილის ფასი არ აღემატება ფუთზე 3 აბას, ვაჭრები კი ყიდიან ბათუმსა და ფოთში მანეთზე მეტად.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ 1897—1894 წლის ჯარში გასაწვევ წითელ ბილეთიანების საყურადღებოთ: ჯარში გაწვევის ვადის გაგრძელების შუამდგომლობით უნდა მიმართონ ადგილობრივ კომიტეტში, თუ, რასაკვირველია შუამდგომლობა საბუთიანი იქნება.

✦ უკვე დაიკვეთეს მარილი „რეგულიატორის“ გამგეობიდან შემდეგმა კოოპერატივებმა; მათხოჯის, ბერეთის, ითხვისის, ხრესილის, სუჯუნისა და ჩიბათის კოოპერატივებმა თითო ვაგონი, ხოლო ლანჩხუთის კოოპერატივმა 3 ვაგონი. ფულის შეტანა შეიძლება „რეგულიატორის“ კანტორაში (თბილისის ქუჩა, ვლად. წერეთლის სახლი), ფოსტით კი—პირდაპირ იმ ბანკში, რომელშიც გამგეობა ინახავს თავისუფალ ფულებს, შემდეგის მისამართით: Кутаисъ, Волжско-камскому Банку. კუპონზე უნდა დაიწეროს: „для внесенія въ текущій счеть №394 Кутаисского Общества потребителей „Регуляторъ“ (მარილისთვის).

✦ ცნობილ ქართველ კომპოზიტორს და მუსიკის მცოდნე კ. ფოცხვერაშვილს ქუთ. გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს, რათა ნება დართოს მას გამართოს ქუთაისში სამი ლექცია. კონცერტი და თითო—ხონში, ყვირილაში სამტრედიაში და ჭიათურაში,

✦ ბათუმის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ. ქუთ. საუფლისწულო მამულების გამგეობას სთხოვა, იჯარით მისცეს 4 დეს. მამული დაბა გონიაში ბოსტნეულობის მოსაყვანად.

✦ ჭიათურაში ამ ჟამად მეფის მოადგილის საბჭოს წევრის პროტასიევის თავმჯდომარეობით რამდენიმე კომისია მუშაობს გერმანელთა მამულების ლიკვიდაციაზე.

✦ სოფ. ზეგანის მცხოვრებს ლ. ჭრიალაშვილს მინდორში 12 ხარი მოჰპარეს, ზუგდიდის მაზრის სოფ. ჯლამის მცხოვრებლებმა გუჯუ და როსტომ ჭოვგელაიებმა და ლადო ზარონდიამ, [illegible] ...ხარები ახალციხეში გადა- [illegible]

კითხს მთელი თავისი ყურადღება უნდა მიაქციოს და ამ ნიადაგზე უნდა დაიწყოს მუშაობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხის დამშვევა აუცილებელია და გაუბედურებას თავიდან ვერავინ აიშორებს. ხალხის გამოკვება და ხალხის ბედის მხრივ უზრუნველ ეოფა თვით ხალხისაგე საქმეა.

ქართველი ისრაელები

ჩვენი ეროვნული გაერთიანება სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ. ამ მოვლენას თანაგორძნობით ეგებება ქართული პრესა და ქართველი საზოგადოება. თუ ეროვნების დამახასიათებელ თვისებათ მივიჩნევთ (და უნდა მივიჩინოთ კიდეც) ენას ამ მხრივ ქართველ მაჰმადიანებს, ქართველ კათოლიკებს, ქართველ გრიგორიანებზე და და ქართველ მართლმადიდებლებს არასფრით არ ჩამოუარდებიან ქართული ისრაელები და აი ამ უკანასკნელთა ახალგაზდა მწერლებმაც აღიარეს რა ეს ფაქტი ხმა აღიმაღლეს თავიანთი ეროვნების გასამტკიცებლათ. ამას გამოეხმაურა ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ბ-ნი ი. გოშართელი. იგი „თეატ და ცხოვ.“ ამ წლის მე 39 № ში ვრცელ წერილს უძღვნის ქართველ ისრაელთა საკითხის გამორკვევას. ხსენებული წერილი იმდენათ საინტერესოა, რომ ჩვენი მკითხველების საყურადღებოთ მოგვყავს [illegible] ...ტა შემოკლებით.

ქართველი მაჰმადიანებისა და გრიგორიანების საკითხი დიდი ხანია აღიძრა ჩვენში. ქართველი ისრაელების საკითხს-კი უფრო მოკლე ისტორია აქვს.

სასიხარულო ის არის, რომ ეს უკანასკნელი საკითხი მკაფიოთ და გარკვევით ქართველ ისრაელთა მრეწველებმა წამოაყენეს.

ქართველი ისრაელები ძველ ებრაელთა ჩამომავალნი არიან, თუ ქართველები?

სისწორით და სიმართლით გადაჭრა ამ სადაო კითხვის დღეს შეუძლებელია. ცხადია მხოლოდ შემდეგი: არის ბევრი ისეთი საბუთი, რომელთა მიხედვითაც ზოგი მეცნიერი იმტკიცებს, ქართველი ისრაელები ძველი ქართველების ჩამომავალნი არიან და არა ძველი ებრაელებისაო.

ამ საბუთთა შორის უპირველესი ალაგი უჭირავს თავის ქალას, იმის მოყვანილობას, სიმაღლესა და სიგანეს.

როდესაც მეცნიერულათ შეისწავლეს ძველი ებრაელების ქართველი ისრაელების და ქართველების თავის ქალა, აღმოჩნდა რომ ქართველი ისრაელების თავის ქალა უფრო ქართველების თავის ქალას ემგზავსება, ვიდრე ძველი ებრაელებისას.

ამ გარემოების მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ: ქართველი ისრაელები უფრო ქართველთა ტომს ეკუთვნიან, ვიდრე ებრაელებს ე. ი. ქართველი ისრაელები მხოლოდ სარწმუნოებით ეკუთვნიან ებრაელებს,—სისხლით, ხორცით კი ქართველებს.

ჩემის აზრით ქართველი ისრაელი წარმოადგენენ შერეულ მოდგმას ე. ი. მათ. უძველეს წინაპრებში ქართველებიც არიან, ებრაელებიც.

რამ გამოიწვია ასეთი შერევა?

სარწმუნოებრივმა ერთობამ.

ებრაელები დამკვიდრდენ საქართველოში იმ დროს, როდესაც ქართველები კერპთ თაყვანის მცემელნი იყვენ.

ებრაელებმა გაავრცელეს თავის სარწმუნოება საქართველოში და ქართველების მცირე ნაწილმა მოსეს სჯული.

შესაძლებელია მცირე ნაწილი ქრისტიან ქართველებისაც აფარეჭდა თავს მოსეს მოძღვრებას მაშინ, როდესაც მაჰმადიანები საქართველოში მუსრს ავალებდენ ქრისტეს მიმდევართ.

ასეა თუ ისე ჩემთვის ეჭვს გარეშეა, რომ ქართველებმა მიიღეს მოსეს სარწმუნოება, ერთი რწმენის ქვეშ გაერთიანდენ ისინი და საქართველოში მცხოვრები ებრაელები, ქორწინების შემწეობით, შეერიენ ერთმანეთში და ამ გვარათ წარმოსდგა ქართველი ისრაელობა.

რომ დაუკვირდეთ ქართველ ისრაელთა გარეგნობას დარწმუნდებით, რომ ისინი დიდათ განირჩევიან საერთოთ ებრაელებისაგან და უფრო ქართველებს ემსგავსებიან.

მხედველობაში რომ არ მივიღოთ აქ მოყვანილი საბუთები და მოსაზრებანი, კიდეც რომ დაგვიმტკიცოს ვინმემ, რომ ქართველი ისრაელები პირწავარდნილი შვილები არიან ძველი ებრაელებისა, ჩვენ მაინც სრული უფლება გვაქვს ვამტკიცოთ რომ ქართველი ისრაელები ქართველები არიან და არა ებრაელები.

ვინ, რამ მოგვცა ამგვარი უფლება?

ისტორიამ.

ერის წარმოშობაში ჩამომავლობას არა აქვს იმდენი ძალა მნიშვნელობა, რამდენიც ისტორიას.

ქართველებთან ერთად საერთო ისტორიულმა ცხოვრებამ ქართველი ისრაელები ნელა ნელა გააქართველა და დღეს ისინი ქართველები არიან

მართლაც ქართველი ერის ისტორია ამავე დროს არის ისტორია ქართველი ისრაელებისა.

ჩვენი ლხინი მათი ლხინიც იყო, ჩვენი ჭირი—მათივე ჭირი. თუ ვინმე გვაოხრებდა ჩვენ, მათაც ისევე აოხრებდენ, ჩვენი ბორკილები მათი ბორკილებიც იყო, ჩვენი თავისუფლება, ჩვენს კეთილდღეობასთან გაუყრელი, განუშორებელი იყო მათი კეთილდღეობაც და ამიტომ საქართველო იმდენათვე იყო მათი სამშობლო რამდენათაც ჩვენი-

გაჭირვებისა და დიდი უბედურობის დროს ისინი იმდენათვე იყვნენ საქართველოს ერთგულნი, რამდენათაც საუკეთესო ქართველნი, საერთო ბედმა დიდი ხნიდანვე შეგვადღა შეგვასისხლხორცა ერთმანეთს და თუ ერთი ღვთისადმი ს�ა და სხვა გზით მისწრაფებამ დღემდე ერთმანეთს არ დაგვაშორა, დღეიდან უფრო ვეღარ დაგვაშორებს; დღეიდან ეს შედუღება, ეს შესისხლხორცება უფრო განმტკიცდება და მტრების ყოველგვარი ეშმაკობა ზედ დაიმსხვრევა.

ვიცი ასეთ ქადაგებას ბევრ [illegible] ...ჰყავს ქართველ ისრაელებში, მაგრამ ეს მათი შეუგნებლობის ბრალია; ისინი ეროვნებას და სარწმუნოებას ერთი მეორეში ურევენ და ჰგონიათ, თუ ჩვენი თავი ქართველებათ ვაღვიარეთ, ამით ჩვენი რჯულის სიმტკიცე შეირყევაო.

მეტათ შემცდარი და ამავე დროს მავნებელი აზრია. ჩვენი დრო სინდისის თავისუფლების დრო არის: ვინც როგორ უნდა ისე ემსახუროს ღმერთსა არც ერთ შეგნებულ ქართველს არაფერი არ ექნება იმის წინააღმდეგ, რომ ქართველი ისრაელები მტკიცეთ იცავდენ ფედა აზრს მოსეს რჯულისას,—ეს არის მხოლოდ მათი საკუთარი სინდისის მოთხოვნილება,

დანარჩენში კი ჩვენ ვართ ძმები და საერთო ძალღონით უნდა განვამტკიცოთ ჩვენი ძმობა-ერთობა.

ჩვენ გვაქვს ერთი სამშობლო—საქართველო და საერთო ძალ-ღონით უნდა ვემსახუროთ მის წარმატებას, იმის კეთილდღეობას.

ერთობის მტრებმა კი დეე იცოდნენ, რომ ჩვენ ყოველთვის პატივცემით ვეპყრობოდით ქართველი ისრაელების სინდისის საქმეს, ვეპყრობით პატივცემით და მომავალშიც ასე მოვიქცევით.

ერთობის მტრებმა დეე იცოდენ, რომ სამშობლო და ეროვნება სხვა არის, სარწმუნოება კი სხვა.

ჩვენ ის კი არ გვინდა, რომ ქართველმა ისრაელებმა ქრისტიანობა მიიღონ.—მაშინ ჩვენ პირველი ვეტყვით მათ: შორს ჩვენგან რჯულის მოღალატენო, თქვენთან არაფერი გვაქვს საერთო-თქო.

ჩვენი სურვილია ქართველი ისრაელები მტკიცედ იცავდნენ თავის რჯულს და ასევე მტკიცედ ემსახურებოდნენ თავის სამშობლოს—საქართველოს.“

ივ. გოშართელი.

ბ. მუმლაძის შეურაცხყოფის გამო.

ნება მომეცით თქვენი გაზეთის [illegible] ...ლებით, სიტყვით გამოუთქმელი უღრმესი თანაგრძობა გამოვუცხადო ძეირფას მეგობარს გიორგი მუმლაძეს.

სირცხვილი იმ საზოგადოებას, რომელიც თავის წრეში ატარებს ბარბაროს კალანდაძეს. მშრომელი ხალხის მკაცრ მსჯავრს ვერსად დაემალვიან ასეთი ვერაგები.

მახ. ბოჭორიშვილი.

საეურადღებო ხელთნაწერი.

ჩვენდა საბედნიეროთ ძველი ხელთნაწერები სულ არ [illegible] ...�პობილა და [illegible] ...ახლა- [illegible] ...თანდათან იყრის თავს [illegible] ...დაც საუკუნოთ დაც- [illegible] ...ადგილი არის ქართ- [illegible] ...საეთნოგრაფიო მუზე- [illegible] ...და მეორე ქუთაისში [illegible] ...ხელთნაწერთა შორ- [illegible] ...ხველის ყურადღებ- [illegible] ...რომელსაც უნდა [illegible] ...კრებული“[2]) თ- [illegible] ...ებიც არის მოთ- [illegible] ...ული ასოებით [illegible] ...თებულ ტყავზე- [illegible] ...რვეულს (რვეულ- [illegible] ...თავში წიგნს [illegible] ...ული და მეხუთ- [illegible] ...სულ 70 გვერ- [illegible] ...ული სრულია [illegible] ...ლის მარტო ხ- [illegible] ...აკლია ბოლოში [illegible] ...სრული ეგზემ-

[1]) ეს ხელთნ- [illegible] ...საზოგადოების ა- [illegible] ...სოფ. ოფიშკვიდ- [illegible] ...თვნოდა მდედელს [illegible] ...ქართულ მუზეუმს [illegible]

[2]) ბევრგან სწერია „ძილიხპირი“ [illegible] ...რადგან დასაწყისი [illegible] ...ძილი; ძლისპირი [illegible] ...გალობელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაშიგ რამდენიმე ფურცელი დახეულია, საზოგადოთ რაც არის წიგნი კარგათ შენახულია.

საყურადღებოა უმეტესად შემდეგი ადგილები:

მე-22 რვეულის მე-8 გვერდზე ტექსტის გვერდით დახატულია ჯვარი, რომელშიდაც ქარაგმით ჩაწერილია: „ჯ(ვ)არი ქრისტესი კირიელეს შეუნდეს დმერთმან ამინ“. ამ სიტყვების ასოები ისეა დაწყობილი, რომ ჯვარი გამოდის. იმავე რვეულის მე-15 გვერდზე კიდევ არის დახატული ეგრეთვე ჯვარი შემდეგი წარწერით: „ჯ(ვ)არი ქრისტესი (წ(ა)ს(ა)ლ(ი)ა) ქორონიკონსა რნიბ“. (168 წ. ესე იგი 1312+168=1480 წ. ამგვარად სჩანს, რომ ხელთნაწერი მეთუთხმეტე საუკუნისაა).

მე-40 რვეულის მე-9—10 გვერდზე არის მოთავსებული ზანდუკი (სარჩევი); ზანდუკი სრული არ არის, რადგან ამ რვეულის შემდეგი 3 ფურცელი აღარ არის.

მე-41 რვეულის მე-9 გვერდზე ასოთ მთავრული ხუცურით სწერია „სრულ იქმნეს ძღისპირნი ესე ქორონიკონსა რნითა“ (ესე იგი მოთავებულა შემდეგ წელს 1481 წ.) შემდეგ იწყება გრიგოლი ღვთისმეტყველის მოძღვრება.

მე-43 რვეულის მე-11 და 12 გვერდზე მოთავსებულია იამბიკო მარიამ ეგვიპტელისა, წმინდა გიორგისა და თამარისა. თამარის იამბიკო[1]) შემდეგი შინაარსისაა:

მზეობს ცის ქვეშე. მზე ოქრო შარავანდი
ქრისტეს სჯულებთა ენათულ ცისკროვნების
სამკარნს შუქი გრთსა ნთდისა მსსიობს
ფაფალ სურნელთა ევარდვნინ ამოებინ
და კვდართა მოდობი ასულობს თამარ
დაგითის.

მე-46 რვეულის მე-11 და მე-12 გვერდები წიგნი თავისუფალი ყოფილა. მხოლოდ ერთი სტრიქონი არის გადატანილი მე-10 გვერდიდან მე-11-ზე. აი ამ თავისუფალ გვერდებზე განსხვავებული მელნით და განსხვავებული ხელით სწერია შემდეგი:

ქ: მე ბარათიანთ: დიდის: ორბელის: [illegible] ყოფლანის ძის: საქართველოს: ბრწყედ მთავრისა და მოსამართლეთ უხუცესის: პატრონის ორბელ: ვახტანგის ბირმშომ: ძმანი: ჯერეთ უმა: კაცმან: სულხან: დავწეე: ძიდისპირთა: და: გალობათა: სწავლა: წდინითა იესოსითა: და ბრძანებითა: მის: უსწორსა: მამისა ჩემისათა: ვიწეე: თვესა: აპრილსა: კ: აღდგომასა: მხსნელისასა: ქუესა: ტნიზ:[1]) ზედნადებსა კე: მთვარესა კ: მწვრთიდა მტხეთედი: ზედგინიძეთ: სახლის: ძე: ბერუკა: და: სიმდერის: სრულობას: მწვრთიდა: იაშვილი გიორგი: მზდიდა: სათუოდ: და: ნებიერად: ვითაც: შვენის: თავადთა: ძეთა: და: მსრულებდა: ეოველითა: ზნითა: აწ: მამანი: ესუ: ლედანი: ანუ ბერნი: ანუ ერმანი: ანუ მდვდელნი: ანუ: ერნი: ანუ მეგობარი: ჩემი: კარგი: მოსწავლე: დიაკონი: შეემთხვიოთ: ძიდისპირსა: ამას: [illegible]ოსა: ჩვენსა: შენდობა ეავთ: მდთისა: [illegible] ჩემ: ეტებისა: და: [illegible] ეგდრენით: დვთსა: [illegible]და: ცოდვათა: მოტე- [illegible] სწავლისა: აღსრუ- [illegible] ეოეა: სწავლისა: [illegible] ჩემის: ოსტატის: [illegible] ეინტა: შენდობა: [illegible]ეგოს მეტეა.[2]) [illegible] 6.[3]) [illegible]ოდზე ტექსტის [illegible] აწერია. [illegible] სულხან სწავ- [illegible]ოვლებს დმერთო- [illegible] [illegible]ეერდზე იგე- [illegible]ია: [illegible] ტნიზ.[5]) [illegible]ოო. ეს კრე- [illegible] კირილესაგან [illegible] მეჩვიდმეტე [illegible]ია ჩვენს ის- [illegible] [illegible] წელს. [illegible] [illegible]ელით (მონოგრამა) [illegible]ით იყო ნაჩვენები [illegible]ს ნაჩვე-

ტორიულ ლიტერატურაში კარგათ ცნობილს მოღვაწეს საბასულხან ორბელიანს და შედგომია მის შესწავლას 1679 წელს; ამავე წიგნში თავისუფალ ფურცელზე საბასულხანს თავისი საკუთარი ხელით დაუწერია მოკლე ავტობიოგრაფია.

ჩვენთვის ძვირფასია ეს წიგნი ერთი მხრით, როგორც საბასულხანის ნაქონი და ნახმარი საკუთრება (სახელმძღვანელო), მეორე მხრით მისი საკუთარი ხელით დაწერილი ცნობები ი ისი ცხოვრებიდან ჩვენთვის საყურადღებო მასალაა, მით უმეტეს რომ მისი ბიოგრაფია სავსებით გამორკვეული არ არის—დაბადების(1658) და გარდაცვლის წელიც (1725) საეჭვოთ არის მიჩნეული*). ამ ხელთ ნაწერში სხვათაშორის ორგან სამგან უტყუარათ არის აღნიშნული, რომ საბასულხანს სწავლა (ალბათ სამღვთისმეტყველო საგნების) დაუწყია 1679 წელს, როცა დაბადებიდან ოცდა ერთი წლის ყოფილა და ოცი წლის მზადების შემდეგ ბერათ აღკვეცილა.

გარდა ამისა, წიგნი მშვენიერი ნიმუშია გადაბმული ნუსხური ნაწერისა და ძველ სამღვთისმეტყველო მწერლობის ვრცელ მასალას შეიცავს.

ტრიფონ ჯაფარიძე.

საზოგადოების საყურადღებოდ

ბევრად თუ კარგათ ქართველმა ხალხმა განადგურებულ აპარას ეურადღება მიაქცია. იქ შემოქმედებითი მუშაობა ახლახან დაიწყო, საგეოებელი ერთობ ბევრია. მაგრამ გზა შეშე ნაჩვენებია და იმედი უნდა ვიქონიოთ, ქართველობაც არაფერს დაშურებს აჯარდების დასახმარებლად და გასთვითცნობიერებლად.

კავკასიის ბრძოლის ასპარეზზე რუსეთის ძლევამოსილმა წინსვლამ ქართველების წინაშე ერთი დიდი საზრუნავი წამოაყენა. ეს არის ჩანეთის საკითხი.

მთელი ჩანეთი ფაქტიურად უკვე შემოერთებულია. ქვეყანა ომისაგან დაზარალებული და აოხრებულია. ჩვენი თანამოძმე ჩანები ეკიდურეს გაჭირვებას განიცდიან. ჩვენი რწმუნებული, რომელმაც მოიარა ჩანეთის ზოგიერთი კუთხე, ხალხის უზომო გაჭირვებას გვატყობინებს. ჩანებს საზრდო არ აქვთ. ხიდით იკვებებიან. შიშველი—საცოდავ სურათს წარმოადგენენ. გვიშველეთ, გვიხსენით, შიმშილისა და განადგურებისაგან—აი ჩანთა სათხოვარი ქართველებისადმი.

ჩვენი მოქმედებისათვის ჩანების დასახმარებლად გარემოებამ მარჯვე შემთხვევა წარმოშვა. ხალხი გაჭირვებული და აფორიაქებული, გამოურკვეველ მდგომარეობაში იმყოფება. ის დახმარების მოლოდინშია, ელის შველას, კამხნევებას. დრო საშუარია, დაეხმარეთ!

ქართული საქველმოქმედო საზოგადოება თავისი მდგომარეობიდ მოწოდებულია ამ აუცილებელ საჭიროებას შეძლების და გვარად გაუძღვეს. მაგრამ თუ ეართე საზოგადოება არ გამოეხმაურა ამ საჭიროებას, მარტო ქართული საქველმოქმედო საზოგადოებას საკუთარი ძალღონით გაუჭირდება საქმის დაძლევა და ეველა დაბრკოლების გადალახვა. საზოგადოების დაუხმარებლად იგი ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას.

გარეშე შემაფერხებელ პირობებს რომ თავი დავანებოთ, უსაზღვრობა ჭბორკავს ჩვენი მოქმედების გაფართოებას. ჩანებისათვის თითქმის არაფერი გაკეთებულა ჯერჯერობით. ჩანეთში უნდა წავიდეთ პირით და ძმური სიტყვით. საჭიროა დიდი ნიეთიერი და საზოგადოებრივ-კულტურული დახმარება.

მიემართავთ ქართველ საზოგადოებას ამ დახმარების აღმოჩენისათვის. მოგუწოდებთ ეველას, განურჩევლად მდგომარეობისა, გამოიღოს თავისი წვლილი გაჭირვებულ ჩანების დასახმარებლად და სანუგეშებლად.

შემოწირულება მიიღება ქარ. საქ. საზოგადოების კანტორაში (თბილისი, თავადაზნაურთა ქრაკანდა), საზოგადოების სარაიონო განყოფილებებში და ქართულ გაზეთების რედაქციებში.

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების თავარი კამგეობა.

ქართველ მსროლელთა პოლკი.

ქართველმა საზოგადოებამ უწყის, რომ ქ. ა—ში ქუთაისის, თფილისის დრუჟინისაგან და სხვა სათადარიგო ბატალიონისგან შემდგარი ქართველ მსროლელთა პოლკი, პოლკოვნიკ კ—ძის სარდლობით უკვე გავიდა ომში,

საზღვარზე. მისი საომარი ამოცანა იყო გაეწმინდა აღებულ ადგილებში, იქით აქეთ, მთებში დარჩენილი ქურთები, რომლებიც წინა პოზიციაზე მიმავალ ქარავანთა ტრანსპორტებს, ყაჩაღობა ბრბოებათ ეცემოდნენ და გზას არ აძლევდენ. ხსენებულმა ჯარმა მიცემული ბრძანება საუცხოოთ დაავგირგვინა, მიუხედავათ იმისა რომ პოლკი მთებში როტებათ და ვზვოდებათ გაიბნა, მას არ ჰქონდა საშვალება მტერზე, როგორც ერთ მთელს ემოქმედნა. შეუდარებელმა წინააღმდეგობამ მტერი საგრძნობლათ შეამცირა. დღეს, გზებზე ტრანსპორტები მხეც ქურთთა დაცემისაგან უზრუნველყოფილია. მან აიღო მრავალი სოფლები, ალაგმა მათში მცხოვრები ქურთები და წამოიყვანა მრავალი ტყვე და შინაური ცხოველები, ხარი, ძროხა, აქლემი, ცხვარი და სხვა. კორპუსის უფროსმა გენერალმა ჩ—მ დიდი მადლობა უძღვნა, როგორც პოლკის სარდალს პოლ. კ—ძეს, ისე მთელ პოლკს. „მე დიდი მადლობელი ვარ ჩემი თავისა რომ ქართველების პოლკი ჩემს კორპუსში მოხდაო“ ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვა.

ირდიონ.

რუსეთი.

პროტოპოპოვს ბობრინსკისათვის სხვათაშორის უთქვამს საქალაქო და საეროო კავშირის დაწესებულებათა მუშაობის შესახებ:

თუმცა ეს კავშირები ოფიციალურები არ არიან, მაგრამ მათ მუშაობას მაღალ წრეებში აფასებდნენ. უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ამ დაწესებულებათა დიდი შრომისა ომის განმავლობაში, მოკავშირეებს ხშირათ ეპვის თვალით უყურებდნენ მათ მოქმედებას.

———

როგორც სჩანს, რუსეთში პური ჯერ კიდევ ბევრი ყოფილა. რუსეთის მთავრობა ახლო მომავალში 120 მილიონ ფუთ ხორბალს გზავნის საფრანგეთში.

———

საქალაქო დებულებათა პროექტის განხილვის დროს, პროტოპოპოვის სიტყვით, ყურადღებას მიაქცევენ ქალებს და მათ თანასწორ უფლებებს მიანიჭებენ საქალაქო დაწესებულებებში.

———

პეტროგრადის უნივერსიტეტის საბჭოს გადაუწყვეტია, დაარსონ მედიკურ ფაკულტეტის პარალერული კურსები.

———

ახლო ხანში პეტრდგრადის სინემატოგრაფის, რესტორნების და საჩაიების შენობათა რეკვიზიციას მოახდენენ. ამის განსახორციელებლად უკვე განსაკუთრებული კომისია აურჩევიათ.

———

იაპონიის ვაჭრობა თანდათან მკვიდრად იკიდებს ფეხს რუსეთში. სხვადასხვა ქალაქებში აურეველი იაპონიის საქონელი მოდის და თანდათან საპატიო ალაგს იჭერს.

———

რუსეთში მოკლე ხანში მოელიან სერბიელთა მისიას, რომელმაც რუსულ გაზეთების სიტყვით, მადლობა უნდა გადაუხადონ რუსებს.

———

ახლად დაპყრობილ ბუკოვინაში დიდი ძალი ბუნებრივი სიმდიდრე აღმოუჩენიათ. ნავთი და ქვანახშირი განსაკუთრებით ბევრი ყოფილა.

———

ახალი არ არის ქალაქის მამების უმოქმედობის და გულგრილობის ამბავი; კიევის ქალაქის საწყობებში ასი ათასი ფუთი, მცხოვრებთა საჭიროების დასაკმაყოფილებლათ დამზადებული სურსათი და მპალა.

———

მთავრობამ სამხედრო ტყვეებისათვის განსაკუთრებული ნორმა დაწესა, რომელიც უკრძალავს ტყვე ოფიცრებს კვირაში სამზე მეტჯერ ხორცის ყიდვას. დილის 11 საათამდე ისინი ვერაფერს ვერ იყიდიან, ხოლო 11 საათის შემდეგ განსაკუთრებულ ბარათებითა და რუსის [illegible]ლდათების შემწეობით. ტყვე ჯარის [illegible]ებს კი ყველაფრის ყიდვა აკრძ[illegible]

[illegible]

რუსეთის გაზეთებს ვერც „პროგრ[illegible] სიულმა“ დეპუტატ მინისტრმა პროტოპოპოვმა უშველა და კვლავ განაგრძობს ჯარიმების გადახდას. გაზ. „ნოვოე ვრემია“ 1000 მან. ღაუჯარიმებიათ ხოლო „გოლოს რუსი-“ო—500 მან.

———

საფრანგეთიდან რუსეთში რამდენიმე ფრანგი აფიცერი მოსულა, რომელთაც მიზნათა აქვთ დასახული გაეცნონ გზათა მიმოსვლის საქმეს რუსეთში.

———

პეტროგრადის ქალაქის გამგეობას 50 ათასი მანეთი გადაუდვია იმ სტუდენტებისათვის ბინის საშოვნელად, რომელნიც დღეს საჩაიებსა სადგურებსა და სხვა საზოგადო დაწესებულებებში აფარებენ დროებით თავს.

———

მედიკურ ფაკულტეტებზე სტუდენტები ამ ბოლო ხანს ნაკლებად სწავლობენ თურმე და მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე დაუნიშნეს ხელმეორეე ეგზამენები, მაინც ვერ აბარებენ.

ამის გამო მოსკოვის საუნივერსიტეტო საბჭომ დაადგინა უკანასკნელად დართოს ამ სტუდენტებს ეგზამენის დაჭერის ნება და შემდეგ დაითხოვოს. „ზარმაცი“ სტუდენტები თურმე მთელი სტუდენტობის 50% შეადგენს და ფიქრობენ იმიტომ არ ეჩქარებათ ეგზამენების ჩაბარება, რომ ჯარში გაწვევას ასცდნენო.

უცხოეთი.

იაპონიაში ამ ბოლო ხანებში, მთავრობის წრეებში დიდი ცვლილებანი ხდება: გარეშე საქმეთა მინისტრი ვიკონტ ისაი ზედა პალატის წევრად დაუნიშნავთ. გრაფი ტერაუჩი კი ახალ კაბინეტს ადგენს.

———

ამერიკის პრეზიდენტად ნამყოფმა ცნობილმა ანგლოფილმა რუზველტმ მილოცვის დეპეშა გაუგზავნა ნეიტრალურ საზავო ლიგას, მისი დაარსების გამო იგი სხვათაშორის სწერს: მიხარია, რომ მედგრად დაიცვენ დღეიდან კაცობრიობის სინ[illegible]

[illegible]

რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო [illegible]ადგილობრივი [illegible] ნახევები).

ქ. ქუთაისს [illegible]ოდის.			
თფილისიდან	— დილის	— 7 ს.	45
„	— საღამ.	— 8 ს.	50
ბათომიდან	— დღისით	— 12 ს.	40
„	— ღამის	— 2 ს.	20
ფოთიდან	— დილის	— 10 ს.	26
ტყიბულიდან	— საღამოს	— 7 ს.	00
შორაპნიდან	— დილის	— 9 ს.	24
ქ. ქუთაისიდან [illegible]			
თფილისისაკენ	— დილის	— 11 ს.	—
„	— ღამის	— 12 ს.	15
ბათომისაკენ	— საღამოს	— 7 ს.	3
„	— დილის	— 4 ს.	55
ფოთისაკენ	— დღისით	— 4 ს.	
ტყიბულისაკენ	— დილის	— 8 ს.	13
შორაპნისაკენ	— დღით	— 5	

რედაქტორი [illegible]
გამომცემელი [illegible] „ს[illegible]

მუშაობს ხრესილის მაღნეული ფაბრიკის ძმ. ჭელიძეების ს[illegible]

აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე [illegible] და, როგორც ნამდვილ [illegible] კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვ[illegible] საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას) [illegible]ეჭის ტკივილს, ავათმყოფობას, ეგზემას, სისიენეს და სხვა. წყალი მიიღება ციცი [illegible] თბილიც. ხრესი[illegible] ფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს [illegible]ისათვის. არის სუ[illegible] თარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველ[illegible] ძლიერ ზომიერი[illegible] მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია [illegible]ელის გასაჩერებლ[illegible] გურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხ[illegible] „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით [illegible] ბრუნდება საღამ[illegible]

ავათმყოფნი სუსენატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა.

ბლენიოზოლი შედგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საექიმო პრაკტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლიპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ **„ბლენიოზოლი“**, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. [illegible]ინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენ[illegible]ზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

ბლენიოზოლი იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაკტიკულ ლაბორატორიისა“ **ბ. შავერზაშვილის საფთიაქო მაღაზიაში.** გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ. ფასი ერთი კოლოფის 3 მან. და 50 კ. სრული გათავისუფლებისა[illegible] საჭიროა 3—5 კოლოფ.

პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლ[illegible] ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი [illegible]ენისაგან, რისთვი[illegible] გულითად მადლობას გწერთ. ეველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მამ[illegible] თონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრულ[illegible] [illegible]ესდ. სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც ეიხმარე წამლო[illegible] [illegible]ს ტუდათ მოქმედებდენ და ვერც [illegible]ს კამთა[illegible]